

1
1962

ნახ. გ. ფირცხალავასი

სტ-24 სტ.

თბილისის
ბიზნეს-ცენტრი

ბიუროკრატი — ჟოჯოალისვი

— გაიოზ დომენტიჩ, ნახეთ როგორი თოვლი მოვიდა?!
— გასინჯეთ ამ კვარტალის გეგმით თუ არის გათვალისწინებული?



1. 62

№ 1 თბილისი იანვარი 1962

საბუღი



- შენ რომ ჩვენს კოლმეურნეობაში იყო, შრომადღებ-
ბით გამდიდრდებოდი!
- როგორ, ბატონო!
- საფრთხობელად გამოგიყენებდით ყანაში!

ნიანგი

სახსტუმროში

სულ სხვა რაიონებში ხომ არ ვივლი, ერთი დმანისშიაც ჩა-
ვივლი, ვნახო რა სტუმართმოყვარე ხალხიაო, — თქვა ნიანგმა
და დმანისს ეწვია.

სასტუმროში წამლად ერთი თავისუფალი ადგილი დაიგუ-
ლა და გული დაიარხინა.

მთელი დღის დაღლილ-დაქანცულს ძილი რომ მოუნდა, სას-
ტუმროს გამგე ჰამიდ ჰასანოვი წამოადგა თავზე, ნიანგი ვერ
იცნო და ასეთი სიტყვებით მიმართა: — შეცდომა ჩაუდენიათ,
შენთვის ჩემი ადგილი მოუცილათ, აიბარგე, შენი ჭირიშე, აპა
შენი საბუთები ინებე, ხვალ იქნება ადგილი განთავისუფლდეს,
დილით მობრძანდი და ჩემი ხმალი და შენი კისერი.

ნიანგს არ უნდოდა განგაში აეტეხა და აიბარგა. სასტუმროს
ყოვლისშემძლე დირექტორმა კი მის ლოგინში თავის ნაცნობ
მგზავრს ამოაშვებინა ხვრინვა.

მთელი ღამე დადიოდა დმანისის ქუჩებში ძილგამფრთხალი
ნიანგი და ისმენდა გამვლელ-გამომვლელთა საუბარს.



სასტუმროს გვერდით პატარა ჭიხურია — ჰაჯი მანსურბეგის
სამფლობელო. მექუდე-ხელოსანია ჰაჯი, რვა მანეთიდან ათი მი-
ნეთამდე იღებს თითოეულ ქუდში და კაციც თვითონაა და ქუ-
დიც თვითონა ხურავს.

შავით თეთრზე დაწერილი საბუთით დმანისის ადგილობრივი
მეურნეობის კომბინატს ეკუთვნის ეს ჭიხური, მექუდე-ხელოს-
ნად ჰაჯი მანსუროვის მეუღლე — ე. რამანესია გაფორმებუ-
ლი ქალაღზე, საკერავ მანქანას კი ჰაჯი უზის მუდამ, მეორე
ჯგუფის ინვალიდი, რომელიც სოცურზრუნველყოფის რაიონუ-
ლი განყოფილებიდან თვეში 49 მანეთსა და 30 კაპიკ პენსიას
იღებს შეუფერხებლად და დაუქვითავად. იღებს და, ალბათ,
ასე მიიღებს მარად, რამეთუ, ცოლი და ქმარი ვინ გაჰყო, გინდა
ცოლმა იმუშაოს, გინდა ქმარმა, ვის რა ესაქმება? სხვათა შო-
რის, ე. რამანესმა კომბინატის სალაროში 1961 წლის ივლისში
32 მანეთი შეიტანა მხოლოდ, აგვისტოში — 30, სექტემბერში
— 15, ოქტომბერში — 0 და ა. შ.

მისდა საბედნიეროდ, ამ ამბავს კომბინატის დირექტორი
ვასო მიქელიანცი ან თვალს არიდებს, ან ვერ ამჩნევს.

ავტოსარწულაველი და შანგი

სამი წლის წინათ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-
ფენის კომიტეტმა კიზილქილისელებს პირუტყვთა სარწულე-
ბელი მოწყობილობა აჩუქა და, ამგვარად, ხელდამშვენებული
გამოისტუმრა. კოლმეურნეობის მაშინდელმა თავმჯდომარემ
ქაზიმ ნაბი ოღლიმ საძროხის სხვენზე უპატრონოდ მიაგდო იგი.

და მოხდა ასე:

— მიველ, ვნახე სარწულელები, რამ შეჭამა სარწულე-
ბელი?

— მიველ, ვნახე სარწულელები, ჟანგმა ჭამა სარწულე-
ბელი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქაზიმ ნაბი ოღლი ექსთავ-
მჯდომარედ იქცა და მისი ადგილი ა. მანსუროვმა დაიჭირა.

ახალმა თავმჯდომარემაც არაფრად ჩააგდო ტექნიკა, მიაგ-
დო ბედის ანაბრად, ყველაფერმა ამან ის გამოიწვია, რომ გა-
დიდდა რძის თვითღირებულება, შემცირდა წველადობა და
დაიუანგა სარწულელები.

კოლმეურნეებს იმის იმედი აქვთ, რომ ისეთი თავმჯდომა-
რე, რომელიც ტექნიკას არ აფასებს და ჟანგავს, არც თვითონ
დაიუანგება დიდხანს დაკავებულ თანამდებობაზე.

ბელევიზორი თუ უთი

დმანისშიაც შედგა ფეხი ჩვენი დროის ერთ-ერთმა საოც-
რებამ: ტელევიზორმა.

1960 წელს შინდლიარის მთაზე აშენებულმა დმანისის ტე-
ლესატრანსლაციო ქვესადგურმა მოიტანა ეს ბედნიერება.

უყურებდნენ ტელეგადაცემებს რაიონული ცენტრისა და
ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები და თავი თბილისში
ეგონათ.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე.

უკვე ათი თვეა, დადუმდნენ ტელევიზორები, ცხვირ-პირი
ჩამოსტირით ყუთებს და მათ პატრონებს. ელიან როდის ამუ-
შავდებიან ისინი, მაგრამ ამაო მათი ლოღინი.

კავშირგაბმულობის დმანისის რაიკანტორის უფროსმა იასინ
ჩოფუროვმა ზეპირად იცის რა მოხდა. ტელესატრანსლაციო
ქვესადგურს ელდენი არ ყოფნის და მე რა ვქნაო, ხელებს ასავ-
სავენს იგი. იქნება, ოდესმე, ბაშქესი განიტვირთოს და მაშინ
თქვენი ტელევიზორები უბრალო ყუთებიდან ისევ ნამდვილ
ტელევიზორებად გადაიქცევიანო.

იმედი დმანისელებსაც შემორჩენიათ, მაგრამ, მოთმინების
ფიალამაც ხომ იცის ავსება, როდემდის, როდემდის უნდა იყ-
ვნენ დმანისელები „ვინ იცის, იქნებას!“ შემყურენი და მოიმე-
დენი...

უკვე ინათა და მთელი ღამის უძინარმა ნიანგმა თბილისი-
საკენ ქნა პირი.

ახლა ცხოვრება ისეთი კოსმიური სიჩქარით წავიდა წინ, რომ ადამიანი უნდა გაჰყვეს მას, უნდა იცოდეს ვინ არის მისი მტერი და მოყვარე, ვინ შეუყვარდება, ვინ შეიყვარებს და სხვა მრავალი. გაითვალისწინა რა ყოველივე ზემოაღნიშნული, მამაზეციერმა დედამიწაზე არსებული ეკლესია—ინსტიტუტების შტატები ხელოვნურად გაბერა და დედამიწაზე შექმნა დამატებითი დამხმარე ორგანიზაციები სამარჩიელოების სახით და კადრების მომზადების საკითხიც თვითონვე ითავა. ახლა ეს სამარჩიელოები ისე გამრავლდნენ საქართველოში, რომ ძნელი დასადგენია რომელ რაიონს მეტი წყალობით გადმოხედა მამაზეციერმა, ისე კარგადაა ყველგან დაყენებული ხალხთა «მომსახურების» ეს უკეთილშობილესი საქმე. მიუხედავად ამისა, მამაზეციერმა თავისი სიკეთის კალთა მაინც გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაზე დაიბერტყა ყველაზე გულუხვად. მოკვდა ის ფრთოსანი თქმა «ყველა გზები რომში მიდისო», გათავდა. ახლა ყველა გზები დიხაზურგაში მიდის. მიდის და მიდის დიხაზურგაში; სოხუმიდან, ოჩამჩირიდან, გალიდან, გუდაუთიდან, დრანდიდან, გურიიდან, კახეთიდან, რაჭიდან, ქართლიდან. რაშია საქმე, რისთვის და ვისთან მიდის ეს მიღეთის ხალხი, იტყვი თქვენ. ვისთან? მაგლონია სპირიდონის ასულ ეთერიასთან. რაო, ვინ არის მაგლონიაო? ვინ არის და მენცარი, მაზაკვალი, მისანი და ჯადოქარი, იგი ახლა სამოცი წლისაა. როგორ გახდა მაგლონია მენცარი?


1955 წელს მაგლონია გარდაიცვალა, სანამ ჭირისუფალი ლოყებს იხოკავდა, ქელეხისთვის ემზადებოდა და სასაფლაოზე ადგილს არჩევდა, მაგლონიამ გაირბინა ბეწვის ხიდზე და საიქიოს კარზე დააკაკუნა.

- რომელი ხარ?—ჰკითხა ღმერთმა.
- მე ვარ, ბატონო, მაგლონია!
- კომუნისტი ხომ არა ხარ?—ჰკითხა ისევ ღმერთმა.
- როგორ გეკადრება, ბატონო!
- აბა შემოდი—გაულო ღმერთმა კარი. შევიდა მაგლონია საიქიოში.
- შენ რა გინდა, ქალო, აქ?—ჰკითხა გაკვირვებულმა ღმერთმა, მაგლონია რომ დაინახა.
- რავა რა მინდა, ბატონო, მკვდარი ვარ!—გაუკვირდა ახლა მაგლონიას.

ჰაიტ, შე დეზერტირო შენ, რომ დავიდვია თავი დლონტის ღორივით და წამოსულხარ, სადაა რომ მოდიხარ, თუ იცი? ამ წუთში დაბრუნდი და მიხედე ხალხს, თორემ იმდენს გირტყამ, შენმა პატრონმაც ვერ გიცნოსო,—გაბრაზდა მამაზეციერი. რაღა გზა ჰქონდა მაგლონიას, როგორც თვითონ ამბობს, დაბრუნდა უკან და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა საქელეხოდ გახაზირებული ხალხი.



„ქენცაიში“



იმ დღიდან არ შეწყვეტილა მაგლონიას სახლის კართან ხალხის რიგი. ერთ მშვენიერ დღეს ავად გავხდი, სხვაგან აბა სად უნდა წავსულიყავი. დაკვარი ფეხი და მაგლონიასთან გავვარდი.

— მიშველე რამე!—შევლაღადე მენცარს და ოცი მანეთი ჩავუტუტე კალთაში.

— რაშია საქმე?—მკითხა მკითხავმა და ოცი მანეთი სადღაც გააქრო.

— ავად ვარ და მტრები მყავს!—აექვითინდი მე.

მკითხავმა რკინის ქოთანში ლობიო გაახაჭუნა, კარტი გაშალა და გამიღიმა.

— ნუ გეშინია, ახლავე წადი ოჩამჩირის რაიონში, ილორის ეკლესიაში მიიყვანე ხარი, ან ძროხა, ან თხა მიაბიღოზე და დატოვე. მერე ადი დიხაზურგას გორაზე, იქ წმინდა ბარბარეს ქვაზე შენსიგრძე სანთელი დაანთე, იქიდან დაბრუნებულმა პირველსავე შემხედრ ოჯახში მიიყვანე კიდევ ერთი ხარი, ან ძროხა, ან თხა და იქ დააკვლეინე, იმ ოჯახში წმინდა ბარბარეს ხა-

ტი აქვთ და ახლა იმაზე ილოცე, მერე კიდევ ერთი ხარი, ან ძროხა, ან თიკანი დააკვლეინე, გასაგებია?

— კია გასაგები, მაგრამ არ შეიძლება ერთი პირუტყვი მაინც ჩემს სახლში დავკლა? ცოტა ხორცი რომ შემხვდეს.—შევევედრე მე.

— არავითარ შემთხვევაში!—გაბრაზდა მაგლონია.

თუ ამანაც არ გიშველოს, მერე ისევ ჩემთან მოდი და თიკანი მოიყვანე. ახლა კი წადი და რაც გითხარი ის გააკეთე.

რაც მითხრა, ყველაფერი შევასრულე. ახლა ჩემს ოჯახში ოთხფეხი საქონელი კი არა, ძაღლიც არ ყფუს, შევწირე ყველაფერი ილორს და ბარბარეს. სამაგიეროდ არაფერი სარგებლობა არ მიმიღია. ხალხი ამბობს, იმ შეწირულ პირუტყვს ჰყიდიან და იმ ფულს ის პირველი შემხვედრი ოჯახი და მაგლონია იყოფენო, იმასაც ამბობენ, ის ოდა სახლი, მაგლონია რომ აშენებს ახლა, იმ ფულით შენდებო, მაგრამ ხალხი ბოროტია, არ დაუჯეროთ. ისიც კი თქვეს, ვიღაცა ნიანგში გაწერას უპირებსო მაგლონია სპირიდონის ასულ ეთერიასო, მაგრამ ნახეთ ტყუილი თუ არ გამოდგეს, ღმერთი უშველის მაგლონიას.

ქ. შაბილაშა



ნახ. ნ. მაღაზონიასი

— კიდევ რაციონალიზატორული წინადადება გაქვს?
— დიახ, გახსენით თქვენი სეიფი და წარმოებაში დანერგეთ იქ ჩაკეტილი რაციონალიზატორული წინადადებები!

გოჭის მკვიდრები და ქათმების კრიახმა დილიდანვე დაარღვია ეზოს მყუდროება და წინასწარ ამცნო მეზობლებს, რომ ჩემი ოჯახი მორიგი ქვიფისათვის ემზადებოდა.

ამ კომპანიას ჩემი მეორე ნახევრის ფუფალას ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი და მისი დაბადების დღის სახელით მოინათლა. მე მხოლოდ დამკვიდრებული წესის მიხედვით ვეძახი ფუფალას მეორე ნახევარს, თორემ ის სამი მეოთხედის ტიტულსაც არ ჯერდება.



მართალია პასუხისმგებელ მუშაკთა რიცხვს არ ვეკუთვნი, მაგრამ არც უპასუხისმგებლო განსვარო და თანამდებობის მიხედვით ჩვენს რაიონში მეც მიწევინ ანგარიშს.

ქვიფისი სპუქკაბი

ჩემი მარიფათისა და ფუფალას გამჭრიახობის წყალობით ისეთი სასახლე ავაშენე, რომ გამგელე-გამომგელელს ზედ რჩება თვალი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ახლახან შევიღმა „ვოლგა“ მოიგო ლატარიის ბილეთით. უფრო სწორად მანქანა სხვამ მოიგო, ჩვენ კი მისგან მოგებული ბილეთი ვიყიდეთ და მოგებულიც ჩვენ დავრჩით, რადგან ხალხი ვეღარ იტყვის „ვოლგა“ იყიდესო.

ახალი სასახლე ცოლის სახელზეა გაფორმებული. პირველად, ცოტა არ იყოს, შევეშინდი კიდევც ვიფიქრე ჩემი ქალბატონი ოინებს ხომ არ მიწყობს-მეთქი. სახლი ნოტარიუსის წესით დამიტკიცა და მოდი ახლა შენ უმტიციე, რომ შენი ნაქაფავითაა აშენებული და ცოლს, რომელსაც არასოდეს არ უმუშავია,

მხოლოდ სახლის თავის სახელზე გაფორმების იდეა ეკუთვნის.

მალე დავრწმუნდი, რომ ჩემს შიშს არ ქონია საფუძველი და ცოლმა მაჯობა ჭკუით. რაც მთავარია, მან ისე დამიტკიცა მთელი სახლ-კარი, რომ სანოტარო კანტორაში კაციშვილს არ უკითხავს საიდან გახდი ამოდენა ქონების ბატრონიო. ჩემი მეუღლე გულთმისანივით წინასწარ ითვალისწინებს ყველაფერს. ახლა ზოგიერთებს უკვე ეკითხებიან ამოდენა სახლი საიდან აიშენეთ, იმპორტული ავეჯი როგორ შეიძინეთ, მანქანა საიდან იყიდეთ? იმდენ „საიდანს“ გკითხავენ კაცს, რომ ვერც კი მოიფიქრებ საიდან გასცე პასუხი. მე რას უნდა შემეკითხონ, როცა ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით ცოლის სამადლოდ მაქვს საქმე.

დღევანდელი ქვიფი, როგორც მოგახსენეთ, ფუფალას ინიციატივით ეწყობა. ჩემს მეუღლეს უკვე შეუსრულდა... აქ თავს შევიკავებ, რადგან ქალები საიდუმლოდ ინახავენ თავიანთ ფლოვანებას. ერთი კი ცხადია, რაც ხნისაა არასოდეს დაბადების დღე არ აღუნიშნავს და ახლა მეზობლის ქალიშვილის ქორწილმა მოაგონა ეს ამბავი.

ქორწილში ისეთი ძვირფასი საჩუქრები მიართვეს ნეფე-დედოფალს, რომ ფუფალა კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. ამის შემდეგ სულ იმაზე ფიქრობდა, რა საბაბით მოეწყო ქვიფი. ჩვენს ოჯახში გასათხოვარი და ცოლსათხოვი აღარავინ დარჩა და ამიტომ ჩემი მეუღლის წინადადებით გადაწყდა მისი დაბადების დღე აღგვენიშნა. მართალია, ეს დღე ხუთიოდე თვის შემდეგ არის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, სტუმრები დაბადების მოწმობას ხომ არ მოგვთხოვენ?

ყველაზე ძნელი დასაბამიებელ პერსონალის შერჩევა აღმოჩნდა. აქ, გარდა სამსახურებრივი დამოკიდებულებისა და ამ საფუძველზე შექმნილი პატივისცემისა, საჭირო იყო ისეთი ხალხის მოწყვეა, რომლებმაც სახელი გაითქვეს ძვირფასი საჩუქრების მიტანაში. ცხადია, გვერდი ავუარეთ ისეთებს, რომლებსაც კაპიკს ვერ გაავადებინებ ხელიდან, კომპანიაში კი კომპანიით გაპყვებიან მაგიდას, გაძლებიან, დათვრიებიან და ზედ ჩხუბსაც დააყოლებენ.

ყველაფერი გემის მიხედვით მოეწყო. სტუმრებმა დანიშნულ დროისათვის მოიყარეს თავი და ლბანა ქალაში შევიდა. საუკეთესოდ შერჩეულმა თამადაშ იმ სიგრძე ყანაში მოითხოვა, რომ გამოუქცევლად კაცი ვერ გადახტებოდა ზედ. პირველი სადღეგრძელო ამ ქვიფის მიზეზს — ფუფალას მიეძღვნა. მაღაზიის გამგემ ჩემს მეუღლეს სულ ლხინი და ქვიფი უსურვა და ამ სიტყვების ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად პიანიო აჩუქა.

რას არ ამბობდნენ ამ კაცის შესახებ, დღეს კი საკუთარი თვალით დავრწმუნდი, რომ ნამდვილი ვაჭარი ყოფილა. საწყობის გამგემ პოლხრონ ტყავაქმე ფუფალას ისეთი ნაზბეწვიანი ქურჭი მიართვა, რომ მიკვირს, ასეთ ადამიანზე როგორ ამბობენ უხეში აცოცხლო. მაცივარი რომ პროდუქტებს არ იყვებს, ეს ყველამ იცის, მაგრამ ადამიანის გულის გათბობაც რომ შესძლებია, ეს ახლა გავიგე, როცა ჩემს მეუღლეს „შილ მოსკვა“ აჩუქა ერთმა სექციონერმა. ამ კაცზე ისე გამითბა, გული, რომ მოსახსენილად გამზადებული მუშაკი შევიდევრ გადაგვოცნე.

დიდი თავხედობა გამოიჩინა ბაზის ღირებურობა ბიჭოში. ამხელა კაცმა უბრალო ხელის საათი მოიტანა საჩუქრად. ჩემს მეორე ნახევარს ნახევარი თვალითაც არ შეუხედავს მისი „მოწყალისათვის“. ამბობენ, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებო, სამაგიეროდ მე ფაქტურებს გავუსინჯავ ბაზაში იმ ვაჭბატონს და ისეთ დღეს დავაყენებ, რომ არავითარი ბაზა აღარ დარჩეს ბაზაში დასარჩენად. ამ სეზონს ასეთი უბრალო საათი რომ მოჭქონდა, განა არ უნდა სცოდნოდა, რომ სამსახურში მისი დღე და საათი დათვლილი იქნებოდა?

როგორც ჩანს, სტუმრები საიდუმლოდ ინახავდნენ ვინ რა საჩუქარს ყიდულობდა. ამის გამო ძალიან „დაეზარალები“ რად მინდა 5 მაცივარი, რესტორანში ხომ არ ვმუშაობ. ან რა მოვუხერხო ერთი და იგივე მარკის 3 ტელევიზორს და 7 რადიომიმღებს. კიდევ კარგი, რომ მეზობლები არ დამიბატიყნიან. ყოველდღე სწერენ ჩემზე ქვეყანა შექამაო. ამოდენა საჩუქრები რომ ენახათ, აქ აღარ შედგომებოდა. მე ისიც მეყოფა, ხელმძღვანელი ამხანაგები რომ ცუდად მიყურებენ ამ ბოლო დროს. ვატყობ, მალე მეც შემეკითხებიან ეს საიდან, ის საიდანო? მე რა ვქნა, თუ ჩემმა ცოლმა თავის საკუთარ სახლში საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა და საჩუქრები მიართვეს.

ქრთამი ხომ არ არის ძვირფასი საჩუქრები?!

6. ნუქრიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი

სახამთრო სსსიებზე



— რა ჰქენი, ჩაიჭერი თუ ჩააბარე?
— ორივე ერთად — საგანში ჩავიჭერი და მატრიკული ჩავაბარე!



უდროოდ და ტრადიკულად დაიღუპა ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, გულისხმიერი მგობარი, სათნოებითა და სიკეთით გულსავსე, ბაგეზე ღიმილგაუმქრალი, ტკბილმოუბარი, დიდებული მწერალი, მოქალაქე და ადამიანი აკაკი იონასე ბელიაშვილი. დიდი დანაკლისი განიცადა ქართველმა ხალხმა, ქართულმა ლიტერატურამ.

აკაკი ბელიაშვილი დაიბადა 1908 წელს ქალაქ ქიათურაში. 1921 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე შევიდა. სტუდენტობის პერიოდში გამოაქვეყნა აკაკი ბელიაშვილმა პირველი ნოველები და იმ დღიდანვე მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება როგორც ახალგაზრდა ნიჭიერმა მწერალმა. ამის შემდეგ იგი ერთ-ერთი საყვარელი ავტორი გახდა ქართველი მკითხველისათვის. ყოველი ახალი ნოველით, ნარკვევით თუ კრიტიკული წერილით აკაკი ბელიაშვილი ამდიდრებდა და წინ სწევდა ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში აკაკი ბელიაშვილმა გამოაქვეყნა სამშობლოსადმი თავდადების უკეთილშობილესი გრძნობით გამსჭვალული რომანი

„უღელტეხილი“. ომის წლებში წერდა აკაკი ბელიაშვილი თავის შესანიშნავ ისტორიულ რომანს „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალს“ და გმირ სახელოვან წინაპართა სახეებით აღაფრთოვანებდა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლ ქართველ მეომრებს.

„ბესიკის“ შემდეგ სახელოვანმა მწერალმა არა ერთი შესანიშნავი მოთხრობა, ნოველა და რომანი გამოაქვეყნა.


ფასდაუღებელია აკაკი ბელიაშვილის ღვაწლი ქართული სატირისა და იუმორის განვითარების საქმეში. იგი წლების მანძილზე იყო უურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, თავისი ბრწყინვალე მოქალაქეობის უკანასკნელ დღემდე გულით აცინებდა, ახარებდა, ახალისებდა მკითხველს თავისი შესანიშნავი ფელეტონებითა და იუმორისტული მოთხრობებით. აკაკი ბელიაშვილი შეურიგებელი მტერი იყო ნაპოვანებებისა, იგი არასდროს გვერდს არ აუვლიდა და თვალს არ აარიდებდა ნაკლს ჩვენს ცხოვრებაში, ებრძოდა მხვედრი სიტყვითა და კალმით, მაგრამ ყოველთვის ზომიერად, მისთვის ჩვეული სიკეთითა და სიფრთხილით.

ძნელია იმის წამოადგენა, რომ ეს ახლავანი კაცი, ნათელი ღიმილით გაცისკროვ-



ნებული სახით აღარ შემოადგებს რედაქციის კარს და კვლავ აღარ გაახარებს თავის მეგობრებს მოსწრებული სიტყვით, საინტერესო ამბების მოყოლით, სმამალალი სიცილითა და ჭკვიანი დარბაისური საუბრით. მაგრამ მადლიერი ქართველი ხალხი, მადლიერი მკითხველი არასოდეს დაივიწყებს მას.

უურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.



როდესაც კირილემ ყოველდღე ახალი პალსტუკების კეთება დაიწყო, ეს არავის არ გაკვირვებია და ჩვეულებრივ მოვლენად ჩასთვალეს; მაგრამ როდესაც ოდეკოლონიტაც დაიწყო აქოთება, მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ კირილე შეყვარებული იყო.

არავინ იცოდა ვინ იყო კირილეს გულის დამპყრობი და ვინ გახსნა კირილეს გულში მოდრეიფე საღვური. კირილე ამას საიდუმლოდ ინახავდა, რადგან თვითონაც არ იცოდა თავისი ნესტანის ვინაობა. ერთხელ შემთხვევით მოჰკრა ქუჩაში თვალი ტანშოლტა ქალს და მის გულში მაშინვე ატყდა როგორც პოეტები იტყვიან, „პურგა და პაპანება“.

გათავდა კირილეს მშვიდი და უწყინარი ცხოვრება. წვრილ-წვრილი კომბინაციები ბულატერიაში და თითო-ორიოლა ქაფი. კირილეს სულთან ერთად მისი ბულატერიაც აფორიაქდა. კომბინაციები დამსხვილდნენ, გაბიუროკრატდნენ და საოცრად გააძნელეს საბუთებში თავიანთი თავის გაფორმება.

ვერაფრით ვერ მოახერხა კირილემ ამ შესანიშნავი უცნობი ქალის გაცნობა. მეორედ ის თეატრში ნახა ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ კვალიფიცირებულ „ნიჭიერ“ სპექტაკლზე და როდესაც შინ ბრუნდებოდა, კისრის ტკივილი იგრძნო. მერე გაახსენდა რომ მთელი წარმოდგენის განმავლობაში მხოლოდ მისი კეფა იტკირებოდა სცენისაკენ ხოლო თვალები...

რა არ სცადა კირილემ, რომ გაეგო მაინც იმ ქალის ვინაობა, არაფერი არ გამოუვიდა. ბოლოს გადაწყვიტა გარეგნობით მაინც მიეჭია მისი ყურადღება და თავის ტანს უნიჭო მწერლის წიგნივით დაუწყო ძვირფასი ყდებით შელამაზება.

რაც დრო გადიოდა, უინი თანდათან უფრო უღვივდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს კიდევაც დაიფიცა:

„ან მე უნდა ვიყო, ან ის ქალი ჩემი უნდა გახდეს. ცოლ-შვილი გამიწყდეს, თუ ასე არ ვქნა!“

ერთ დილას როდესაც კირილე სულაც არ ფიქრობდა იმ ქალზე და წარსული ხუთათასიანი კომბინაციის „ლიკვიდაციის“ გზას გეგმავდა, სამსახურში მისვლისთანავე უთხრეს:

— კირილე, სად ხარ აქამდე, იქ ვილაც ქალი გელოდება. მერე რა ქალია, არიქა, მიდი ჩქარა!

— ვინაა?

—რა ვიცი, წაღი ნახე.

კირილემ აჩქარებული ნაბიჯით გაიარა დერეფანი, კარი გააღო და... კინლამ ჩაიკეცა.

მისი ოცნება, ალვატანიანი, თვალუყუქუნა ქალი იქვე იჯდა მაგიდასთან, მუხლებზე პორტრეტი დაედო და ელოდებოდა.

ელვის სისწრაფით წარმოიდგინა მოქმედების გაგრძელება კირილემ: ...აღლსაცებული მიუახლოვდა, სკამს ფეხი წამოჰკრა და გამოერკვა.

ქალი შეირხა და ფეხზე წამოდგა.

— უკაცრავად თქვენ ჩემთან... — შეეკითხა კირილე.

— თქვენ ხართ კირილე დავთარაძე?

— დიახ

კირილეს გულს სულ ბავაბუგი ვაჰქონდა. როგორ არ დაიჯეროს ბედი კირილემ. საოცნებო არსება პირდაპირ ეხსლა. ის არსება, რომლის გაცნობა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. რა უნდა ნეტავი ახლა კირილესთან?

ან რა უნდა სთხოვოს, რომ არ შეუსრულოს? მთელს ქვეყანას გადააბრუნებს მაგის გულისათვის, ნეტავი საშინლად ძნელ საქმეს დაავალბდეს, იმი-სთანას, რომლის გაკეთებას მსოფლიოში ვერავინ შესძლებდეს კირილეს გარდა.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში კირილეს, რომ ამ დროს ტურფა და მშვენიერმა ქალმა გახსნა ბავეთა კონტოკორენტი, ანგარიშვალდებულ პირივით სახედ ილო უმანკო ღიმილი და აუჟურის ხმით მოახსენა:

— ამხანაგო კირილე, დავალებული მაქვს თქვენი ბულატერიის რევიზია ჩავატარო.

— როგორ!

— მე მგონია, გასაგებად ვთქვი — რევიზია.

— თქვენ?

— დიახ. რატომ გიკვირთ?

ქალმა დაღო თავისი პორტრეტი, გაიხანა პალტო, დაჰკიდა, მობრუნდა კირილეს მაგიდისაკენ, სკამი მიიდგა, დაჯდა და საქმიანი კილოთი უთხრა:

— დავიწყეთ!

მთელი თვენახევარი მოუნდა რევიზორი ამ უშინაარსო, უნიჭო ძვირფას წიგნის წაითხვას, რომელსაც „კირილე“ ერქვა სახელად.

კირილეს კი ის სწავდა და დაავადა, რომ პროკურორთან გაგზავნილ სარევიზიო დასკვნას მისთვის საოცნებო არსება აწერდა ხელს.

აკ. ბელიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

ხაქ. კე ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქტორი ნ. შველიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 3/1-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებთ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შევ. № 2183, უფ 02402 ტირაჟი 40000

ფაშისტ სამხედრო დამნაშავეს გენერალ ადოლფ ჰოინიგერს, რომლის ხელები მილიონობით ადამიანის სისხლშია მოსერილი, ახლა აგრესიული ბლოკის ნატოს მუდმივი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი უკავია.

თავისუფალი
ბიზლირთქა



ნახ. გ. ლომიძისა

სისხლიანი ჯალათი და მისი მფარველები.